პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 211 (9371) | პარასკევი, 5 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გულისხმიერად ვზარდოთ და გამოვიყენოთ მუშათა ახალგაზრდა კადრები — მოწინავე.

ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება XIX ყრილობის აღსანიშნავად. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება. გ. გელაშვილი—იქ, სადაც მზადდება ქართული ფოლადის მილები (1-ლი გვერდი).

ვ. ბალავაძე — განუწყვეტლივ ვამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდები).

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის.

ა. ბექაური — დიდი პერსპექტივები, ახალი ამოცანები კომუნისტებს შემოაქვთ წინადადებანი, მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში (მე-2 გვერდი).

უზრუნველვყოთ პირუტყვის ხაზოგადოებრივი სულადობისა და მისი პროდუქტიულობის ზრდა — [illegible] გ. იდიძე — ჩვენი მუშაობის გამოცდილებიდან მეცხვარეობაში (მე-3 გვერდი).

ახალი კადრების სამშენებლოში (მე-3 გვერდი).

გ. მელაძე — მოკლე შენიშვნები (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები (მე-4 გვერდი).

გულისხმიერად ვზარდოთ და გამოვიყენოთ მუშათა ახალგაზრდა კადრები

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კმაყოფილებით სიამაყის გრძნობით, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის გამოქვეყნებას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, კულტურული დონის ამაღლებას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის სასახელოდ განხორციელება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაზე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება.

ახალი ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ ადამიანებს, კადრებს. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იყო. ომისშემდგომ წლებში სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკით აღჭურვა გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო შარშან ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებელმა მრეწველობამ შექმნა ხუთასამდე უმნიშვნელოვანესი ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის განუხრელ ტექნიკურ პროგრესს.

ტექნიკის დარგში ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტით დასახული ამოცანების შესრულებისათვის. მაგრამ, როგორც ხალხთა გენიალური ბელადი ამხანაგი სტალინი გვასწავლის, **„ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით“.**

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი მუდამ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მუშათა ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, სოციალისტური სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის. ახალგაზრდა კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, პარტიისა და მთავრობის დირექტივების საფუძველზე ჩვენში შეიქმნა შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების ფართო ქსელი, რომლებიც ყოველწლიურად ასეულ ათასობით კვალიფიციურ ახალგაზრდა მუშას აწვდიან ჩვენი ქვეყნის განუწყვეტლივ მზარდ მრეწველობას, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებს.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშათა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო სკოლები. მარტო მიმდინარე წელს აღინიშნულმა სასწავლებლებმა და სკოლებმა სხვადასხვა პროფესიის ათასობით კვალიფიციური მუშა მისცეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. წელს რუსთავში გაიხსნა ახალი სახელოსნო სასწავლებელი სამასი მოსწავლისათვის. იგი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას მოუმზადებს კვალიფიციურ მეტალურგებს.

მრავალ საწარმოში და მშენებლობებზე ენერგიულად მუშაობენ შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდა კადრები. თავიანთი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების კარგი პირობები აქვს შექმნილი სახელოსნო სასწავლებლებში კურსდამთავრებულ 350-მდე ახალგაზრდას თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში. ამავე ქარხანაში მომუშავე ზეინკალი გ. ბუხრიკიძე და ხარატი ვ. ბაქრაძე, რომლებიც თავიანთ პროფესიებს სახელოსნო სასწავლებელში დაეუფლნენ, გამომუშავების ნორმებს ორმაგად და უფრო მეტად ასრულებენ. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობს და გამომუშავების ნორმებს ორმაგად ანაღდებს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდა მექვაბე ს. ჯარიაშვილი.

ჭიათურელ მაღაროელთა მრავალრიცხოვან კოლექტივში 1.200-ზე მეტი ახალგაზრდა მაღაროელი სამთო-სამრეწველო და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში დაეუფლა თავიანთ პროფესიებს. ახლა ეს ახალგაზრდები უფროსი თაობის მაღაროელებთან ერთად მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი და იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან მთელი რიგი საწარმოები და მშენებლობები, რომელთა ხელმძღვანელები საჭიროა მზრუნველობას არ იჩენენ შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდა მუშების მიმართ. მაგალითად, ტყიბულ-ვანახშირის ტრესტმა სამუშაოთა ვერ უზრუნველყო ივლისში მისთვის გადაცემული ახალგაზრდა მუშების საგრძნობი რაოდენობა, რის გამო 71 ახალგაზრდას არასპეციალობის მიხედვით იყენებდა. ტრესტი ბევრი ახალგაზრდა მუშის მიმართ არ ახორციელებს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის ბრძანების პირველი 4-6 თვის განმავლობაში მათთვის გამომუშავების ნორმების შემცირების შესახებ. ყოველივე ამის გამო სამუშაო მიატოვა რამდენიმე ათეულმა მუშამ, მათ შორის 22 მუშა პირველი დღეებიდანვე წავიდა წარმოებიდან.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექციამ გააჭიანურა 150 ახალგაზრდა მუშისათვის საერთო საცხოვრებლად განკუთვნილი სახლის შეკეთება, საკმაო რაოდენობით ვერ მოიმარაგა ინვენტარი საერთო საცხოვრებლებისათვის.

ახალგაზრდა მუშების მისაღებად ცუდად მომზადების გამო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელებმა 150 კაციდან მხოლოდ 97-ის მიღება შეძლეს და ამ რაოდენობიდან 16 კაცი უკვე წავიდა სამუშაოდან.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლობებზე თუმცა გასულ წელთან შედარებით ახალგაზრდა მუშათა დენადობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ სავსებით აღმოფხვრილი ჯერ კიდევ არ არის.

პარტია და მთავრობა მილიარდობით სახსრებს ახმარენ მუშათა ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადებას. ყოველდღიურად ზრუნავენ მათი შემდგომი დაოსტატებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ასეთ პირობებში ყოვლად შეუწყნარებელი და დასაგმობია ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის მიერ მუშათა ახალგაზრდა კადრების როლის შეუფასებლობა სახალხო მეურნეობისათვის, ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტში ნათქვამია: **„სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კვალიფიციური კადრების მხრივ, განსაკუთრებით წარმოებაში მოწინავე ტექნიკის შემდგომ დანერგვასთან დაკავშირებით, გაუმჯობესდეს ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების მომზადების ხარისხი სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში, უზრუნველყოფილ იქნას მუშების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გზით და საწარმოებში მოწყობილი კურსებისა და სკოლების სისტემის საშუალებით“.**

ეს დირექტივა შრომითი რეზერვების სამმართველოს მუშაკებს ავალებს აღმოფხვრან თავიანთი სისტემის სკოლებსა და სასწავლებლებში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ ზემოაღნიშნული დირექტივით, გადაჭრით გააუმჯობესონ მუშათა ახალგაზრდა კადრების გამოყენების, მათი შემდგომი აღზრდისა და დაოსტატების დიდმნიშვნელოვანი საქმე.

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა იაპონიაში

ტოკიო. (საკადესი). გამომცემლობა „ოცუკი სიოტენმა“ იაპონურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი.

თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენცია გაიხსნება 6 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მარჯანიშვილის ქ. № 8).

ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება XIX ყრილობის აღსანიშნავად

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავი სოცშეჯიბრების შესახებ

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საკავშირო კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობას იმის შესახებ, რომ 1952 წლის 5 ოქტომბერს მოწვეულია პარტიის მორიგი XIX ყრილობა.

სსრ კავშირში სოციალიზმის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ყრილობის მოწვევა დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებაში.

მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია, ისწრაფვიან რა ღირსეულად შეხვდნენ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ღირსეულად შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ავალებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც წარმოების მოწინავეთა ინიციატივით დაიწყო.

სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი მისწრაფება — დაიცვან მშვიდობის საქმე, მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება — ააშენონ კომუნისტური საზოგადოება მიმართულ უნდა იქნას იმისაკენ, რომ მთლიანად და გადაჭრებით შესრულდეს ახალი ხუთწლედი.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალ მძლავრ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და კულტურული დონის ამაღლებას. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან განუწყვეტლივ ზრუნავდნენ მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, მოსამსახურეს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეს კომუნისტური შშენებლობის ყველა უბანზე ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობას, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ფეიქართა ვახტის პირველი შედეგები

გორი. (საკ. კორ.). პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გორის ბამბეულის კომბინატის საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. სართავი საამქროს კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა და წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს. ვახტის პირველ დღეებში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ა. პიატოვსკაია, მ. გიდელაშვილი, ნ. მიქელაძე და სხვები. მრთველმა ტ. ბერიგინამ 27 აგვისტოს დღიური დავალება 132 პროცენტით გაანაღდა.

ვახტის დღეებში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ მოსამზადებელი საამქროს სტახანოველი მეფთილეები. სტახანოველმა ი. კოლივანოვამ 27 აგვისტოს დღიურ გეგმას 37 პროცენტით გადააჭარბა.

ფეიქრები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნან დიადი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას.

იქ, სადაც მზადდება ქართული ფოლადის მილები

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მაღალთაღიან, ვრცელ კორპუსში განუწყვეტლივ ხმაურობენ მრავალ რიგად ჩამწკრივებული სხვადასხვა დანადგარები, მექანიზმები და ავტომატები. აქ ყველაფერი საბჭოთა ტექნიკის გრანდიოზულ მიღწევებზე მეტყველებს. საამქროს მთელი აღჭურვილობა, ვეებერთელა დანადგართა კვანძები დამზადებულია ურალის ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის გიგანტურ ქარხანაში. აქვე ვხვდებით თბილისური წარმოების ჩარხებსაც, რომლებსაც კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მარკა ამშვენებს.

ამას წინათ მილსაგლინავ საამქროში დაბრუნდა ახალგაზრდა ქართველ მეტალურგთა დიდი ჯგუფი. მათ საწარმოო პრაქტიკა განვლეს ქალაქ ნიკოპოლის მეტალურგიულ ქარხანაში. ნიკოპოლელ მგლინავებს თავიანთი ენერგია არ დაუშურებიათ იმისათვის, რომ გამოუცდელ ახალგაზრდებს საფუძვლიანად შეესწავლათ მვალცავის, ოპერატორისა და გამხურებლის რთული პროფესია. ისინი რჩეულ ოსტატებსა და ინჟინრებს მიამაგრეს, ხოლო ტექნიკური სწავლების მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობდა ფოლადის გლინვის უბადლო სპეციალისტი პ. ბულგაკოვი. იგი რუსთავში დაბრუნებულ ახალგაზრდებს თან გამოჰყვა, რათა კიდევ უფრო განუმტკიცოს მათ ნიკოპოლის ქარხანაში მიღებული ცოდნა.

ახალგაზრდა ქართველმა მეტალურგებმა ნაყოფიერი შრომით ჯერ კიდევ ნიკოპოლში ისახელეს თავი. აი რას გვიამბობს ამის შესახებ პ. ბულგაკოვი:

— ქართველმა ახალგაზრდებმა მათთვის სრულიად უცხო და რთული პროფესიის ათვისების საქმეში დიდი უნარი გამოიჩინეს. მათ გულმოდგინე და ბეჯითი მუშაობით მიაღწიეს იმას, რომ გათვალისწინებულ ვადაზე გაცილებით ადრე ზედმიწევნით შეისწავლეს ურთულესი ჩარხების მართვა და მალე დამოუკიდებლად მუშაობას სურვილი გამოთქვეს. ნიკოპოლის მეტალურგიული ქარხნის დირექცია პირველ ხანებში ახალგაზრდებს ერთი ან ორი საათით ანდობდა საგლინავ დანადგარებს, ხოლო, როცა ორიოდე დღის შემდეგ თითქმის მთელ ცვლაში მუშაობა დააკისრეს, ახალგაზრდა შეგირდებმა იმდენი ფოლადი გაგლინეს, რომ მუშაობის ნაყოფიერებით თავიანთ ოსტატებს გაუთანაბრდნენ.

— ახლა კი სრული იმედი გვექნება, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობისას არ შეარცხვენთ თქვენს მასწავლებლებს, — ასეთი რწმენით გამოისტუმრეს ისინი საქართველოში.

ახალგაზრდა მგლინავებმა ღირსეულად გაამართლეს თავიანთი ოსტატების იმედი. რუსთავში მუშაობის დაწყებისთანავე მათ წინაშე დაისახა სერიოზული ამოცანა — დაემზადებინათ უნაკერო ფოლადის მილები ავტომატური მეთოდით. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა ცნობა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. მგლინავები ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გაათკეცებული ენერგიით შეუდგნენ დასახული მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლას.

* * *

მძლავრად გუგუნებს რგოლური ღუმელი. მის შიგნით წრისებურად ჩალაგებული ფოლადის სამილე ძელები თანდათან ღვივდებიან და საჭირო ტემპერატურამდე გახურების შემდეგ ავტომატურად გადადიან პირველ საგლინავ ჩარხთან. აქ ცილინდრისებური მბრუნავი ლილვები გავარვარებულ ძელს თავის მარწუხებში ათავსებენ და გულს უღებენ. აქედან ფოლადის ძელი უახლოვდება ავტომატურ ჩარხს, რომელიც საჭირო სიგრძესა და სისქეს აძლევს მას. მესამე ჩარხი მილს უსწორებს ზედაპირს, მეოთხე ჩარხთან კი ზუსტდება მილის გარეთა და შიგნითა დიამეტრი და მილი ავტომატურადვე თავსდება უზარმაზარ გამაცივებელ მაგიდაზე, რის შემდეგ ხდება მილის ცივი დამუშავება.

ფოლადის მილს სახეცვლილებათა ამ დიდ გზაზე, ურთულესი ტექნოლოგიური პროცესების ყველა უბანზე ხვდებიან ხელმარჯვე მგლინავები — მვალცავები: ი. ქუთელია, ვ. მერაბიშვილი, პ. ბენდიანაშვილი, გ. მორჩილაძე, ვ. კურტანიძე, ა. გელაშვილი, ოპერატორები: მ. ქვეზერელი, ნ. ალადაშვილი, დები ორჯონიკიძეები. დაკისრებულ საქმეს მაღალი ოსტატობით ასრულებენ რგოლური ღუმელის უფროსი ვ. შეყილაძე, გამხურებელი გ. გორდეზიანი და ი. ჯანგულაშვილი.

* * *

მზა პროდუქციის განყოფილებაში საამქროს უფროსი ლ. ოსლამენკო სპეციალისტებთან ერთად დაკვირვებით ათვალიერებს ქართული ფოლადისაგან დამზადებულ მილებს.

გამოშვებული მილი მაღალი ხარისხისაა — ასეთია სპეციალისტთა საერთო დასკვნა.

— მშობლიური პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების პირველ დღეებში ავითვისეთ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. ჩვენი ვალია კიდევ უკეთესი შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ ყრილობის გახსნის ისტორიულ დღეს! — ერთხმად აცხადებენ ახალგაზრდა ქართველი მეტალურგები.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო. სურათზე: საწიდე ციცხვების გამზადება, წინა პლანზე მოწინავე ჩამომსხმელი გ. ნებიერიძე.
ფოტო რ. აკოფოვისა.

მაღაროელები სტახანოვურ ვახტზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელთა ერთსულოვანი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. მათ იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი, ჩაებნენ ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ამ დღეებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა ჭიათურაში. მარგანეცის ტრესტმა რვა თვის დავალება ვადაზე ადრე შეასრულა. ამჟამად ჭიათურაში ყველა მაღაროო გეგმის გადამეტებით იღებს მარგანეცს. ყოველდღიურ გეგმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ ლენინის, სტალინის, დიმიტროვის, კაგანოვიჩის, ბერიას და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნად გამოვიდა ჭიათურაში, დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებს. ამ მაღაროს ცნობილი სტახანოველები—სამგზის ორდენოსანი კ. ღავთაძე, ტრიფონ და ალექსანდრე ჭიღლაძეები, პ. გოგატიშვილი, გ. ბიბიაშვილი, გ. არეშიძე და სხვები ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგანან და გეგმებს 180-200 პროცენტით ანაღდებენ.

ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგანან აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კონფერენციის დელეგატები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ბოყოველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ფოფხაძე, ცნობილი მბურღავი გ. თოდაძე, აგრეთვე სტახანოველები — ოთხგზის ორდენოსანი პ. მირიტაძე, ორდენოსნები ს. ოთინაშვილი, ბ. გელბახიანი, ა. გაფრინდაშვილი. მათი დღიური გამომუშავება 160-200 პროცენტს აღწევს.

ჭიათურელი მაღაროელები თავდადებულად შრომობენ, რომ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ ჩვენი სახელოვანი პარტიის XIX ყრილობას.

მეჩი ხე-ტყე სახალხო მეურნეობას

სატყეო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები XIX პარტიული ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

ენგურის ტყემრეწვმეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წლის ცხრა თვის საწარმოო გეგმა ვადამდე შეასრულონ. 1 ოქტომბრამდე გეგმის გადამეტებით დაამზადონ 15 ათასი კუბმეტრი და გამოზიდონ 5 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე, მისცენ სახელმწიფოს 5 ათასი მანეთის ეკონომია.

ზუგდიდის ტყემრეწვმეურნეობის კოლექტივმა იკისრა მესამე კვარტალის გეგმა შეასრულოს 15 სექტემბრამდე და ამ კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოზიდოს 3.500 კუბმეტრი ხე-ტყე.

ხე-ტყის დამზადების მუშაკები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და სტახანოვური შრომით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, ღირსეულად შეხვდებიან პარტიის XIX ყრილობას. **(ჩვენი კორ.).**

მეციტრუსეებმა პირობა გაანაღდეს

მახარაძე. (**„კომუნისტის“ კორ.**). ლიმმანტრესტის ურეკის ციტრუსების სახელმწიფო სანერგის (დირექტორი ამხ. შ. ვასაძე) კოლექტივმა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად იკისრა ვადამდე შეესრულებინა მყნობის გეგმა.

მეციტრუსეებმა პირობა გაანაღდეს, დაწესებულ ვადაზე 12 დღით ადრე დაამყნეს 650.000 ძირი ციტრუსი, აქედან — 450.000 ძირი მანდარინი, 150.000 ძირი ლიმონი, 50.000 ძირი ფორთოხალი.

ბიბლიოთეკა

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის

★ ★ ★

დიდი პერსპექტივები, ახალი ამოცანები

ა. გეძაური,

საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი.

დიდი სიხარულისა და ბედნიერების დღეებს განიცდის საბჭოთა ხალხი ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის გამო. ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანები შრომობენ, გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ეს შეჯიბრება გამოხატავს მრავალი მილიონი ადამიანის მტკიცე მისწრაფებას — ახალი შრომითი გამარჯვებით აღნიშნოს დიადი ისტორიული მოვლენა — პარტიის XIX ყრილობა.

ყრილობის მოწვევის სასიხარულო ცნობამ მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ დუშეთის რაიონის მშრომელებიც. ისინი გულდასმით სწავლობენ ყრილობის მასალებს, ერთსულოვნად იწონებენ მათ და თავდადებით იბრძვიან, რათა ახალი წარმატებები მოიპოვონ უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ჭეშმარიტად დიადსა და წარმტაც პერსპექტივებს უსახავს ახალი ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მუშაკებს. ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, რომლის განხორციელება დააჩქარებს ჩვენი ხალხის წინსვლას კომუნიზმისაკენ, კიდევ უფრო განამტკიცებს მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში.

ყრილობის დირექტივებში თვალსაჩინო ყურადღება აქვს დათმობილი საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკითხებს. მასში გათვალისწინებულია ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის წყალით უზრუნველყოფის რაიონებში, კასპიისპირა დაბლობებში, ნოღაის ველზე და თურქმენეთის არხის რაიონებში კეთილმოწყობილი საძოვრების შექმნა-გაფართოება.

ჩვენი რაიონის მეცხვარეები, რომლებიც ყოველწლიურად ზამთარს კასპიისპირეთში ატარებენ, კარგად იცნობენ ნოღაის ველს. მრავალი ათეული ათასი ჰექტარი მიწა წყალის უქონლობის გამო ნახევრადუდაბნოდ არის ქცეული. ზაფხულის ცხელი ქარები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცხვარი მთელი წლის მანძილზე იმყოფებოდეს იქ. ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ ნოღაის ველზე შეიქმნება მეცხვარეობის განვითარების საუკეთესო პირობები. უხვმოსავლიანი სათიბებისა და საძოვრების ნაკვეთების გამოყოფა, საკვების მტკიცე ბაზის შექმნა საშუალებას მოგვცემს თანდათანობით შევამციროთ პირუტყვის შორეული გადარეკვა, რაც დიდ სიძნელეებს უქმნის, როგორც მეცხოველეებს, ისე პირუტყვს.

ნოღაის ველის გარდაქმნა იძლევა არა მარტო პირუტყვის სულადობის ზრდის, არამედ ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების განუზომელ შესაძლებლობას. როგორც ცნობილია, ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს ძირითადად ყავთ თუშური ცხვარი, რომელსაც აქვს გემრიელი ხორცი, დიდი ცხიმკუდი, კარგად იტანს შორეულ მგზავრობას, მაგრამ იძლევა ცოტა და უხეშ მატყლს. მომავალში ჩვენი მზარდი მრეწველობის მოთხოვნილება რომ დაკაყოფილოთ, საჭირო იქნება **ახლავე დავიწყოთ არსებული ცხვრის მეტიზაცია, გავამრავლოთ ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილი ცხვარი და ამასთან ერთად, ვიყოლიოთ ნაზმატყლიანი ცხვრები, რომლებიც დიდ შემოსავალს მისცემენ კოლმეურნეობებს და, რაც მეცხვარეობაში მთავარია, მოგვცემენ საუკეთესო ხარისხის მატყლს.**

ახალი ხუთწლედით დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის საჭირო იქნება ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა **ნოღაის ველზე ააგონ საკმარისი ბინები,** როგორც ცხვრისათვის, ისე მწყემსთათვის. საჭიროა აგრეთვე დიდი ღონისძიებანი განხორციელდეს მეცხოველეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და **ზოოვეტდაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის.** ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქცეთ მეცხოველეობის მეურნეობის გაძღოლის უფრო ინტენსიური სისტემის — **პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვის სისტემის** ფართოდ დანერგვას. ამისათვის დაგვჭირდება **საკვები ბაზის კიდევ უფრო გაფართოება** და სხვა ღონისძიებათა გატარება.

ახალ ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა მეცხოველეობაში შრომა-ტევადი სამუშაოების მექანიზაციას. ჩვენი რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ჯერჯერობით სრულად არ იყენებს იმ მდიდარ შესაძლებლობას, რაც მათ ამ საქმეში აქვთ. საკოლმეურნეო ელექტროსადგურები სანახევროდ დატვირთული არ არიან. ეს მაშინ, როცა **ელექტროობა შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ წველის, ცხვრის პარსვის, საკვების შემზადების და სხვა სამუშაოთა დროს.** ეს საგრძნობლად გაზრდიდა პირუტყვის პროდუქტიულობას და აამაღლებდა მეცხოველეთა შრომის ნაყოფიერებას.

უახლოეს ხანში ამ დარგში გარდატეხა უნდა მოვახდინოთ. წელს გუდამაყრის კოლმეურნეობამ, რომელსაც 60.000-ზე მეტი ცხვარი ყავს, უკვე ჩაატარა ცხვრის ელექტროპარსვა, რამაც საუკეთესო შედეგი მოგვცა. **საჭიროა ფერმათა ელექტროფიკაცია ფართოდ დავნერგოთ ახალ ხუთწლედში.**

დიდსა და სერიოზულ ამოცანებს უსახავს ჩვენი რაიონის მეცხოველეებს ახალი ხუთწლიანი გეგმა. 1955 წლამდე რაიონის კოლმეურნეობებში ცხვრის სულადობა დიდად გაიზრდება, საგრძნობლად გადიდდება აგრეთვე ძროხებისა და ღორების სულადობა, მატყლის გამოსაელიანობა და ძროხების წველადობა.

უფრო კეთილმოწყობილი გახდება და საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა საფუძვლებზე მოეწყობა თვითეული ფერმის მუშაობა, განუზომლად გაიზრდება მეცხოველეთა კულტურული დონე და მატერიალური კეთილდღეობა.

ამ საპატიო ამოცანების წარმატებით შესრულების საქმე რაიონის პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, თვითეული მშრომელისაგან მოითხოვს მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის ჯეროვნად მოწყობას. ჩვენ მოვალენი ვართ დავრაზმოთ რაიონის მშრომელები ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გავაჩაღოთ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო კრიტიკა ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით.

დუშეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ასწორებენ რა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგად დაშვებულ უხეშ შეცდომებს საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში, ახლებურად აწყობენ მუშაობას. გასაკეთებელი ბევრია. ეს ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული.

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტებით აღფრთოვანებულნი დუშეთელი მეცხოველეები ბოლშევიკურად შეასრულებენ მშვიდობიანი მშენებლობის დიადი გეგმით — ახალი ხუთწლიანი გეგმით — მათს წინაშე დასახულ ამოცანებს.

კომუნისტებს შემოაქვთ წინადადებანი

დიად სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესრულებისათვის

კომუნისტების მაღალი აქტივობის ნიშნით მოეწყო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვას.

ქარხნის კომუნისტებმა შემოიტანეს საყურადღებო წინადადებანი, რომელთაც ქვემოთ ვაქვეყნებთ:

წარჩინებული ხარატი, კომუნისტი **ა. აგაჯანოვი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის მოთხოვნილებების შესაბამისად საჭიროა მეტი დახმარება გაეწიოს **წარმოების ნოვატორებს,** რომელთა ძვირფასი გამოგონებები ხელს შეუწყობენ ახალი ხუთწლედის დავალებათა ბრწყინვალედ შესრულებას.

ამწყობი საამქროს ოსტატი ამხ. **ფ. სივოპლიასოვი** მოითხოვს **ქარხნის მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებას.** აღნიშნავს რა, რომ ქარხანაში უკვე მეორე წელია გრძელდება თხუთმეტტონიანი ამწის მონტაჟი, რის გამოც მძიმე ჩარხების ამწყობი მუშები კვირაში 30-40 საათით ცდებიან, ამხ. სივოპლიასოვი მიუთითებს, რომ საჭიროა მონტაჟის სწრაფად დამთავრება.

კომუნისტებს—ამწყობი საამქროს უფროსს **ი. ქურდაძეს,** მეორე მექანიკური საამქროს ხარატს **ზ. ტენიშევს,** საინსტრუმენტო საამქროს საგეგმო-განმანაწილებელი ბიუროს გამგეს **ვ. იაცუკს** წინადადება შემოაქვთ **ტვიფრებისა და ჩარხების ტექნიკური აღჭურვის დასამზადებლად ქარხანაში მოეწყოს ცალკე საამქრო,** რომელიც შესაძლებლობას მიცემს საწარმოს გაადიდოს დეტალების გამოშვება და გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. ისინი მოითხოვენ, აგრეთვე, რომ სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის სამინისტრომ ახალ ხუთწლედში მოაწყოს **შემკეთებელი ქარხნები საჩარხო და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის აღდგენითი რემონტისათვის.**

კომუნისტებმა შემოიტანეს აგრეთვე წინადადება მოსკოვში მოეწყოს **საბჭოთა მანქანათმშენებლობისა და ჩარხმშენებლობის სისტემატური გამოფენები.**

მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კომუნისტები გულდასმით სწავლობენ ახალი ხუთწლედის დირექტივებისა და პარტიის წესდების შეცვლილ ტექსტის პროექტებს. ყრილობის მასალების შესწავლა ხდება წრეებში. პირველ სექტემბერს შედგა ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელზეც განიხილეს პარტიის XIX ყრილობის მასალები.

კრებაზე პირველი სიტყვა აიღო მაუდის საამქროს უფროსმა ამხ. **დ. ხვედელიძემ.** მთლიანად ვიწონებ, — ამბობს ის, — დირექტივების პროექტს საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ჩვენი საამქროს კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ყრილობის გახსნის დღე — 5 ოქტომბერი აღნიშნოს ახალი საწარმოო წარმატებებით.

სამღებრო-სააპრეტურო საამქროს ოსტატის თანაშემწემ ამხ. გ. ზაქარეიშვილმა თქვა: — ჩემ მიერ ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის მოწონებას იმით გამოვხატავ, რომ ვდგები პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე და ვკისრულობ ცხრა თვის გეგმა 23 სექტემბრისათვის შევასრულო.

— ჩვენ, — განაცხადა კამვოლური საამქროს უფროსმა ამხ. ს. ნოვიკმა, — საშუალება გვაქვს განვიხილოთ და ჩვენი მოსაზრებანი გამოვთქვათ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების გრანდიოზული პროგრამის შესახებ. დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი ფაბრიკის კომუნისტების წინაშე. **ახალ ხუთწლედში უნდა განხორციელდეს ფაბრიკის რეკონსტრუქცია.** ეს გარემოება გვავალებს უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ ჩვენი კოლექტივი ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის შესახებ კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ს. იაკობაშვილმა, სამღებრო - სააპრეტურო საამქროს ოსტატმა ამხ. ა. ბალაბანოვმა, საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწემ ამხ. ა. ხუციშვილმა.

პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც მოიწონა დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქმიან ვითარებაში ჩაიარა აგრეთვე პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის განხილვამ.

პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ანდღულაძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ ცვლილებების დიდ მნიშვნელობას, რომლებიც წესდების პროექტშია შეტანილი. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი, — ამბობს ის, — კიდევ უფრო მაღლა სწევს პარტიის წევრის სახელწოდებას, კომუნისტებისაგან მოითხოვს მტკიცედ დაიცვან პარტიის რიგების ერთიანობა, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

კამვოლური საამქროს ოსტატის თანაშემწემ ამხ. ე. გაბისონიამ თავის სიტყვაში მოიწონა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი და წამოაყენა წინადადება: წესდებაში გათვალისწინებულ იქნას **პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრობის ორი კანდიდატის არჩევა.** ეს ხელს შეუწყობს კომუნისტების გამოწრთობას პარტიულ მუშაობაში, ხოლო პარტბიუროს გაუადვილებს პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობას.

ამ წინადადებამ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მას მხარი დაუჭირეს კამვოლური საამქროს უფროსმა ამხ. ს. ნოვიკმა, სარემონტო საამქროს ბრიგადირმა ამხ. გ. ბადალოვმა და სხვებმა, ხოლო საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწემ ამხ. ა. ხუციშვილმა და სხვებმა საფუძვლიანად არ ცნეს ამხ. გაბისონიას წინადადება.

მაუდის საამქროს ოსტატმა ამხ. ვ. დანელიამ გააამახვილა ყურადღება პარტიული დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, ხაზი გაუსვა ქვემოდან კრიტიკის მნიშვნელობას, რაც კარგად არის მოცემული პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, და მოუწოდა კომუნისტებს ფართოდ გამოიყენონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კრიტიკა და თვითკრიტიკა.

დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვის გამო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პარტიული კრება იწონებს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს. წესდების შეცვლილ ტექსტის პროექტი მოწმობს იმ გრანდიოზულ მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

კრებამ დაავალა ფაბრიკის პარტბიუროს უზრუნველყოს პარტიის ყველა წევრისა და კანდიდატის მიერ საყრილობო მასალების შესწავლა.

განუწყვეტლივ ვამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე

★

ვ. გალავაძე,

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე.

★

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უფართოესი მასების სულ უფრო და უფრო გაძლიერებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, კომუნისტთა აქტივობის უმაგალითო ზრდის ვითარებაში ემზადებიან ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის.

საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა დაწესებულებებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში უდიდესი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს. კომუნისტები და უპარტიო მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავდადებით შრომობენ, თვითეული თავის პოსტზე, საბჭოთა ადამიანებისათვის ჩვეული მთელი პასუხისმგებლობით აღწევენ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, პოულობენ და ავლენენ წარმოების სულ ახალ და ახალ რეზერვებს, შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც მიმართულია ერთი მიზნისაკენ — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობისაკენ, ჩვენი დიდი სამშობლოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისაკენ.

მთელ თვალუწვდენ საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მილიონობით საბჭოთა ადამიანებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი ყრილობის აღსანიშნავად და უმზადებენ მას ღირსეულ შეხვედრას.

პარტიულ კრებებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, პარტიულ კონფერენციებზე გულდასმით განიხილავენ მასალებს პარტიის XIX ყრილობისათვის. ყურადღებით კითხულობენ რა ამ ისტორიული დოკუმენტების ყოველ სტრიქონს, კომუნისტები პოულობენ ახალ-ახალ შესაძლებლობებსა და რეზერვებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, გულდასმით სწავლობენ და განიხილავენ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის თვითეულ პუნქტს.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის მზადება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა, ამხანაგ სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულების ნიშნით, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი ამაღლების, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების კავშირის განმტკიცების ნიშნით. ჩატარებული გარდაქმნის შედეგად გაძლიერდა პირველადი ორგანიზაციების როლი და ბრძოლისუნარიანობა, უმჯობესდება, სრულყოფილი ხდება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობისადმი ხელმძღვანელობის სტილი, ხორციელდება იმ უხეშ პოლიტიკურ შეცდომათა და ჩავარდნათა შედეგების საბოლოოდ აღმოფხვრა, რაც დაუშვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა პარტიის საქმეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის მუშაობას წარმართავს იმ უაღრესად პასუხსაგები ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან, პირადად პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებიდან.

ამან თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მსვლელობაში, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციების მუშაობაში, რომლებიც უდიდესი აღმავლობით, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს.

ამ კრებებმა და უკვე შემდგარმა პარტიულმა კონფერენციებმა ცხადყო კომუნისტების უმაგალითო პოლიტიკური აქტივობა, მათი დაუცხრომელი მისწრაფება, მტკიცე მზადყოფნა—აუცილებლად შეასრულონ ჩვენი პარტიის ყოველი დავალება, ცხადყო მათი მჭიდრო დარაზმულობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის გარშემო.

პარტიულ კონფერენციებზე დელეგატები ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებენ საანგარიშო მოხსენებათა განხილვაში. აღნიშნავენ რა უკანასკნელ თვეებში მიღწეულ წარმატებებს, ისინი იწონებენ იმ ღონისძიებებს, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების გამოსასწორებლად, გაბედულად და მწვავედ აკრიტიკებენ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობაში, ყოველმხრივ და ღრმა ანალიზს უკეთებენ თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული პარტიული ხელმძღვანელის საქმიანობას. ისინი მომთხოვნელად უდგებიან გაწეული მუშაობის შეფასებას და სახავენ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერების პრაქტიკულ გზებს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულებისათვის ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების გზებს.

კომუნისტთა არაჩვეულებრივად გაძლიერებულ აქტივობას მკაფიოდ მოწმობს მათი მონაწილეობა საანგარიშო მოხსენებების განხილვაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე დამსწრე ყველა კომუნისტის დაახლოებით 36 პროცენტმა — ერთ მესამედზე მეტმა მიიღო მონაწილეობა კამათში.

ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელსაც 250-ზე მეტი კომუნისტი დაესწრო, აღინიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელება დიდად დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციას მთელი მუშაობის გარდაქმნაში. ამის შედეგად გაძლიერდა კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოებაში, გადიდდა მაღაროელთა შრომის ნაყოფიერება. შემთხვევითი როდია, რომ მარგანეცის მადნის მოპოვების გეგმა წლის პირველ ნახევარში აქ 105,2 პროცენტით შესრულდა.

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კომუნისტები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამ ბოლო დროს გაუმჯობესდა ზემდგომი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი. ამან ხელი შეუწყო ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნას. პარტიული ორგანიზაცია ახლა გულდასმით უგდებს ყურს მშრომელთა მოთხოვნილებებს, გაძლიერდა კომუნისტების პასუხისმგებლობა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში.

ფართოდ იყენებდნენ რა წესდებით გათვალისწინებულ უფლებებს, კამათში გამოსულნი გაბედულად და მტკიცედ აამჟღავნებდნენ ნაკლოვანებებს ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში, შეჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც მიმართულია მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

ქალაქ თბილისის ლენინისა და სტალინის რაიონების, 26 კომისრის რაიონის, გურჯაანის, დმანისის, ყვარლის, ზემო სვანეთის, მაიაკოვსკის, ქობულეთის, ზნაურის, ჯავის, გალის რაიონების მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გაკრიტიკებულ იქნა პარტიული ბიუროებისა და მდივნების მუშაობა იმისათვის, რომ ისინი უნარიანად ვერ ახამებდნენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან.

თბილისის № 2 ტყავის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს საანგარიშო მოხსენების გამო გამართულმა კამათმა ცხადყო, რომ ბიურო სუსტად ახორციელებდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, არ იჩენდა ინტერესს კოლექტივის სამეურნეო ცხოვრებისადმი, არ რაზმავდა კომუნისტებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, გაფლანგვა-მტაცებლობის აღმოფხვრისათვის საბრძოლველად.

კომუნისტებმა მწვავედ გააკრიტიკეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობა. კონტროლის ჯგუფის უფროსი ამხ. რევაზიშვილი, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ პარტბიუროსა და მის მდივანს ამხ. გაბრიჩიძეს დასკვნები არ გამოუტანიათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებიდან და არაფერი არ გაუკეთებიათ თავიანთ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოსაფხვრელად.

არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ ამხ. გაბრიჩიძე ავტორიტეტით ვერ სარგებლობდა კომუნისტებს შორის. კენჭისყრის დროს იგი გააშავეს.

ცალკეული საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე აღნიშნავდნენ, რომ თუმცა მთელი რიგი მკაცრი ღონისძიებები გატარდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევებთან და კოლმეურნეობებისაგან გამომძალველობასთან საბრძოლველად, საზოგადოებრივი დოვლათის გაფლანგვა-დატაცების ფაქტებთან საბრძოლველად, ზოგიერთ კოლმეურნეობებში მაინც ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ეს სამარცხვინო მოვლენები, რაც პირველადი პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, ადგილებზე პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ზნაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ პარტიული ბიურო არ სწვდებოდა კოლმეურნეობის ეკონომიკას, არ აწარმოებდა გადამწყვეტ ბრძოლას საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისათვის. სარგებლობდა რა ამით, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ა. ნინიკური იტაცებდა საკოლმეურნეო ქონებას და პირადი გამორჩენის მიზნით იწვეოდა პირუტყვის ადაცვლის დანაშაულებრივ პრაქტიკას.

პარტიული კრება სწორად მოიქცა, რომ არადამაკმაყოფილებლად ცნო პარტბიუროს მუშაობა და გადაირჩია იგი.

ვანის რაიონის სოფელ ყუმურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ პარტიული ბიურო სრულებით არ ზრუნავდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საანგარიშო პერიოდში ბიურო ერთხელაც არ მოწვეულა, პარტიული კრებები მხოლოდ რაიკომის მიერ რეკომენდებული საკითხების განსახილველად იწყობოდა. კოლმეურნეობაში აგიტაცია ჩაშლილი იყო. ძალიან სუსტად იყო დაყენებული კომუნისტების სწავლა. პარტიული ორგანიზაცია არაგითარ დახმარებას არ უწევდა პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციას, სუსტად მუშაობდა უპარტიო აქტივთან.

ანალოგიური ფაქტები, რომლებიც ბევრი სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამომჟღავნდა, მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი რაიკომი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მათ, ცუდად არის დაკავშირებული პარტიულ აქტივთან, არ ასწავლის მას შინაპარტიულ მუშაობას.

პარტიული მასები მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს, ფრიად კრიტიკულად უდგებოდნენ მათი მუშაობის შეფასებას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 9.242 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან, სადაც საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა, 437 პარტორგანიზაციის ბიუროებისა და მდივნების მუშაობა ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ძველ ხელმძღვანელთა ნაცვლად, რომლებსაც კომუნისტებმა ნდობა არ გამოუცხადეს, პირველად არის

უზრუნველვყოთ პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობისა და მისი პროდუქციულობის სწრაფი ზრდა

ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქცია: ხორცისა და ძონისა 80-90 პროცენტით, რძისა 45-50 პროცენტით, მატყლისა დაახლოებით 2-2,5-ჯერ, მათ შორის ნაზი მატყლისა 4-4,5-ჯერ, კვერცხისა (კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში) 6-7-ჯერ... კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძის პროდუქტიულობის გასაზიდებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ იქნას მიჩნეული მეცხოველეობის მეურნეობის გაძღოლის უფრო ინტენსიური სისტემის — პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვის სისტემის დანერგვა. ამასთან გათვალისწინებულ იქნას რაიონების თავისებურებანი.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ კპრტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტიდან.

ჩვენი მუშაობის გამოცდილებიდან მეცხვარეობაში

ჩვენს კოლმეურნეობაში ფართოდ არის განვითარებული მეცხოველეობა. კოლმეურნეები, მწყემსები დაუღალავად შრომობენ, რათა მეტი მატყლი და ყველი მისცენ საბჭოთა სამშობლოს. მეცხვარეობის ფერმის მუშაკებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებისა და მეცხვარეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ნერბვის კამპანიის ჩატარებას. ნერბვისწინა პერიოდში და თვით ნერბვის დროს დედაცხვარს ვაძლევთ საუკეთესო საძოვრებზე. ასეთი მოვლის შედეგად ისპობა ბერწიანობა და მატულობს ტყუპიანობა.

ყურადღებით არის გარემოსილი ნამატის მიღებისა და შენარჩუნების საქმე. ბატკნის მოგებისას შემოღებული გვაქვს მწყემსების მორიგეობა. ეს ხელს უწყობს დოლის ნორმალურად ჩატარებას და მოგებისთანავე ბატკნის მიერ ძუძუს მოწოვას. მეორე წელია ჩვენი ცხვარი ჩრდილო კავკასიის საძოვრებზე იზამთრებს. აქ ზამთარი მკაცრი იცის. ჩვენ ბატკნებს კარგად ვუვლით, რომ არ გაცივდნენ. ბატკნის წესიერი მოვლა და კვება ნამატის შენარჩუნების პირობაა.

ახლადდაბადებულ ბატკნებს თბილ ბინაში დედაცხვრებთან ერთად ვათავსებთ. თუ ბატკნები ტყუპები დაიბადა, მათთვის გვაქვს ცალკე გამოყოფილი თბილი კოშაკანები.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსაგები ცხვრის ყოლას სადგომის ახლოს. დოლიანობის დროს ხშირად დედაცხვარს აქვს ჭარბი რძე. ბატკნის მოწოვების შემდეგ ცხვარი უნდა ჩამოიწველოს, რათა ჭარბმა რძემ არ გამოიწვიოს ცურის დაავადება, რაც ცხვრის გაშრობას იწვევს.

დედა ცხვარი გადაყვანილი გვყავს სადღეღამისო ძოვებაზე. დროული მოწოვება რომ გაადვილდეს, სასურველია პირველ ხანებში ფარა არ აღემატებოდეს 350-400 სულს. ვაწოვებთ დღეში ორჯერ—დილითა და საღამოთი. ჩვენი პირადი გამოცდილებით ვიცით, რომ როცა უკვე საძოვარზე გავუშვებთ ბატკანს და იგი დედას კარგად შეეჩვევა, მაშინ ფარის გადიდება შეიძლება 700-800 სულამდე. ბატკანს ასხლტების შემდეგ ვუშვებთ უფრო გრილ და წყალიან ადგილას.

საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე ცხვრის გადარეკვის დროს გულისხმიერად ვაკომპლექტებთ ფარებს. მგზავრობაში ერთმანეთს ხელი რომ არ შეუშალონ, მშრალი ცხვარი ცალკე მოგზაურობს, ხოლო ბატკნიანი ცხვარი ცალკე.

ცხვარს ყოველდღე ვწველავთ. პრაქტიკული გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ თუ ცხვარი 3-4 დღის განმავლობაში მოუწველავი დარჩა, მაშინ იგი გაშრება, ან საგრძნობლად მოიკლებს რძეს.

ცხვარს ვწველავთ 10-15 აგვისტომდე. ზაფხულის პირველ ხანებში ვწველავთ შუადღისით, ხოლო როცა დაცხება — დილით ადრე. გაშრობის შემდეგ იგი გადაგვყავს მაღალ გრილ საძოვარზე, რომ ნაწველი ცხვარი სწრაფად გასუქდეს.

კარგადაა დაყენებული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საქმე. ჯიშების გაუმჯობესების შედეგად ჩვენი ცხვრები უფრო ნაყოფიერი და პროდუქტიული გახდნენ. მაგალითად, წელს მ. ხუციძის ბრიგადამ ჯიშნარევი ცხვრის ყოველ 100 დედაცხვარზე გამოზარდა 110 ბატკანი, ბრიგადამ, რომელსაც ნ. ბექურიძე ხელმძღვანელობს, 100 დედაცხვარზე 108 ბატკანი შეინარჩუნა.

მეცხოველეთა წინაშე ახალი დიდი ამოცანებია დასახული. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის თვალსაჩინო განვითარებას.

ჩვენი ფერმის მუშაკები გულდასმით სწავლობენ საყრილობო დოკუმენტებს და ერთიორად აძლიერებენ მუშაობის ტემპს. ჩვენ ჩავებით საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიბრძვით ამისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავამრავლოთ მიღწევები.

კოლმეურნულ სიტყვას ვიძლევით ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეეგებოთ პარტიის XIX ყრილობას.

გ. იდიძე,

ახმეტის რაიონის სოფელ ზემოალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე.

საკვები ბაზისათვის პრ ზრუნავენ

სამტრედია. (საკ. კორ.). რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ვერ ასრულებენ წველადობის დაწესებულ გეგმას, დაბალია პროდუქტიულობა. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მეძროხეობის ფერმებში მიღებულია 625.000 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.669.000 ლიტრისა. ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ზოგან სათანადოდ არ უვლიან პიოუტყვს. რაიონში ცუდად ზრუნავენ საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. ასე, მაგალითად, რაიონის კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა. ბუნებრივ სათიბებზე ბალახის აღება გააჭიანურეს. წელს კოლმეურნეობებს გეგმით 13.000 ცენტნერი ტევადობის სასილოსე კოშკები უნდა აეგოთ, მაგრამ მშენებლობა სათანადო ტემპით ახლაც არ არის გაჩაღებული.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკები და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ პირუტყვისათვის საკვები ბაზის გაფართოების საქმეში. კვლავ დაბალია ძროხების წველადობა. სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ხაჟალია) მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 210 ლიტრი რძე მიიღეს. წლიური გეგმა კი 850 ლიტრის მიღებას ითვალისწინებს.

სამტრედიელმა კოლმეურნეებმა ფართოდ უნდა გაშალონ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და ენერგიის დაუზოგავად იშრომონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მოწინავე მწველავები

ახალქალაქი. (საკ. კორ.). წველადობის გადიდებაში სახელი გაითქვა სოფელ აბულის კონევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მეძროხემ ა. ბდოიანმა, რომელიც 10 ძროხას უვლის. შარშან თვითეული ძროხისაგან მან მიიღო 1.900 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950-სა. იგი წელსაც კარგად მუშაობს, თვითეულ ძროხაზე უკვე მიღებული აქვს 1.728 ლიტრი რძე.

სოფელ ქოთელიის ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობას 132 მეწველი ძროხა აყავს. ფერმა წარმატებით ასრულებს წველადობის გეგმას. ოღღა აჩელაშვილი საუკეთესოდ უვლის 10 ძროხას. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში თვითეული ძროხისაგან მან მიიღო 1.200 ლიტრი რძე და ნამატი მთლიანად შეინარჩუნა.

მოწინავენი წარმატებას აღწევენ შრომის სწორად მოწყობით, პირუტყვის კარგი კვებითა და მოვლით. პროდუქტიულობის გადიდებას ხელი შეუწყო ძროხების სადღეღამისო ძოვების და მწვანე ბალახითა და კონცენტრირებული საკვებით გამოკვებამ. მეწველ ძროხებს დამატებით კვებავენ აგრეთვე ადრეული სილოსით. პირუტყვს დღეღამეში 4-5-ჯერ ასმევენ წყალს.

მოწინავე მწველავები ჩაბმული არიან პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვიან იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ მეცხოველეობის მეტი პროდუქტი.

ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ზაფხულიდან იმარაგებენ პირუტყვის საზამთრო საკვებს, მათ 175 ჰექტარის ნაცვლად გათიბეს 204 ჰექტარი თივა.

ამ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების გავრცელება ხელს შეუწყობს საერთო აღმავლობის მიღწევას.

უხეში საკვების დამზადება და სიღოსის ჩადება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 სექტემბრის ცნობებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დამზადებულია 477.069 ტონა უხეში საკვები, გეგმის 26,5 პროცენტი. აქედან თივა დამზადებულია 312.984 ტონა, გეგმის 69,6 პროცენტი.

თბილისის ოლქში უხეში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 37,1 პროცენტით, აქედან თივისა—76,7 პროცენტით; ქუთაისის ოლქში უხეში საკვებისა—9,6 პროცენტით, თივისა—57,8 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ-ში უხეში საკვებისა—2,1 პროცენტით, თივისა — 23,5 პროცენტით; აჭარის ასსრ-ში უხეში საკვებისა—21,1 პროცენტით, თივისა—48,4 პროცენტით; სამხრეთ ოსეთში უხეში საკვებისა—23,5 პროცენტით, თივისა—50,9 პროცენტით.

ამავე რიცხვისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დასილოსებულია 134.837 ტონა საკვები, გეგმის 40,9 პროცენტი. თბილისის ოლქში დასილოსებულია 112,537 ტონა, გეგმის 53,8 პროცენტი; ქუთაისის ოლქში საკვების დასილოსების გეგმა შესრულებულია 24,3 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ-ში—1,1 პროცენტით, აჭარის ასსრ-ში—16 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში კი 1,2 პროცენტით.

ახალი კადრების სამჭედლოში

(საუბარი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ამხ. ნ. კეცხოველთან)

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განახლდა მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრება. კვლავ გამოცოცხლდა უნივერსიტეტის ეზო, კორპუსები, დერეფნები. მეცნიერების სახელოვან კერას—შობლიურ უნივერსიტეტს კვლავ დაუბრუნდნენ მზით გარუჯული, კუნთებმაგარი, ზაფხულის პერიოდში კარგად დასვენებული, ჯანღონით სავსე ახალგაზრდები—სტუდენტები. მათ დახვდათ მრავალი ახალი ლაბორატორია, შეკეთებული აუდიტორიები, შარშანდელთან შედარებით უკეთ მოწყობილი კორპუსები. პირველ სექტემბერს დილის ცხრა საათზე უნივერსიტეტის 95 აუდიტორიაში და 114 კაბინეტსა და ლაბორატორიაში შეუფერხებლად, ორგანიზებულად დაიწყო მეცადინეობა.

— ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივი, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ნ. კეცხოველმა, — ახალ სასწავლო წელს შეუდგა იმ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით და პოლიტიკური აქტივობით ემზადება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობისათვის. ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ჩვენი სახალხო მეურნეობის მრავალფეროვანი დარგებისათვის, ჩვენი კულტურისა და განათლების ფრონტისათვის ახალი კადრების მომზადების შემდგომ დიდ ზრდას. ეს ჩვენს უნივერსიტეტს ავალებს ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე გააძლიეროს ბრძოლა სწავლის ხარისხისათვის, ბრძოლა ჩვენი ეპოქის შესაფერი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისათვის.

გასული სასწავლო წლის ბოლოს, — აღნიშნა ამხ. კეცხოველმა, — ჩვენმა უნივერსიტეტმა ქვეყანას მისცა 970 სპეციალისტი. 970-მა ახალგაზრდა კურსდამთავრებულმა დატოვა მშობლიური უნივერსიტეტის კედლები. სამაგიეროდ წელს სტუდენტთა მრავალათასიან კოლექტივს შეემატა 1.020 ახალგაზრდა პირველკურსელი. ამქამად უნივერსიტეტში სწავლობს და მეცნიერებას ეუფლება 5.140 სტუდენტი.

საგრძნობლად დიდი კონკურსი იყო წელს მისაღებ გამოცდებზე. მას შემდეგ, რაც 454 ახალგაზრდა, როგორც ფრიადოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა, დარჩენილ 561 ვაკანტური ადგილისათვის იბრძოდა გამოცდაზე დაშვებული 1.913 კაცი.

გამოცდებზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა შარშანდელთან შედარებით უკეთესი მომზადება გამოავლინეს. 1.176-მა კაცმა ყველა საგანში ჩაიბარა გამოცდა. გამოცდებზე ჩაჭრილთა რაოდენობა წელს 12 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე შარშან. ნიშანთა საერთო ჯამი შარშანდელთან შედარებით წელს ყველა ფაკულტეტზე 1-2 ნიშნით უფრო მაღალი იყო. გამოცდების კარგად ჩაბარებით განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ფილოლოგიის ფაკულტეტის ზოგიერთ განყოფილებაზე შემსვლელმა ახალგაზრდებმა. ბიოლოგიის, გეოლოგიის, ქიმიის, ისტორიის ფაკულტეტებზე ჩარიცხულ იქნა ბევრი ისეთი სტუდენტი, რომლებმაც 35 შესაძლებლიდან 35-33 ნიშანი მოაგროვეს.

სასიხარულოა, რომ ასეთი მომზადებული ნაკადი მოვიდა წელს პირველ კურსზე. ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც უნივერსიტეტს დაამთავრებენ 1957 წელს, როცა მეხუთე სტალინური ხუთწლედი უკვე კარგა ხნით ადრე ხორცშესხმული იქნება, როცა დიდად გაზრდილი ჩვენი სახალხო მეურნეობა, უფრო ამაღლებული კულტურისა და განათლების ფრონტი შესაბამისად მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ახალ მძლავრ არმიას მოგვთხოვს. ამიტომაც დგას ჩვენი უნივერსიტეტი ესოდენ პასუხსაგები ამოცანების წინაშე. ავამაღლოთ სწავლების ხარისხი, აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მივცეთ სამშობლოს ყოველმხრივ მომზადებული, იდეოლოგიურად გამობრძმედილი კადრები,—აი როგორია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პასუხსაგები ამოცანა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აბაშის რაიონში ჩამორჩენა გრძელდება“

„კომუნისტის“ მიმდინარე წლის 16 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია სათაურით: „აბაშის რაიონში ჩამორჩენა გრძელდება“. კორესპონდენციაში გაკრიტიკებული იყო აბაშის სახალხო განათლების ორგანოები, რომლებიც სუსტად ემზადებოდნენ ახალი სასწავლო წლისათვის. როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ამხ. ო. კერძაია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

პარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ ა. წ. 22 აგვისტოს განიხილა საკითხი რაიონის სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შემოწმების შედეგების შესახებ და აღნიშნა ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი. ახალი სასწავლო წლის მზადების ჩაშლისათვის რაიკომის ბიურომ ნაესაკოვის საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ს. კუჭუხიძე მოხსნა სამუშაოდან და გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე აბაშის მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ქორცხალიას და კეთილარის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ამხ. ა. ჩაგანავას.

პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი რაიონის სკოლებში სწავლის კარგი ორგანიზაციისათვის.

არჩეული 2.072 მდივანი, მათ შორის 400 ქალი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა არსებითად არ ზრუნავდა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებისათვის, რის შედეგადაც ბევრ ორგანიზაციაში პარტიული მუშაობის დონე მეტად დაბალი იყო. ამან, კერძოდ, თავი იჩინა იმით, რომ პირველადი პარტორგანიზაციების ცალკეულმა მდივნებმა და რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელმა მუშაკებმაც კი არ იცოდნენ პარტიის წესდება და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“. მაგალითად, „ზაგოტკევსირიოს“ სიღნაღის რაიონული კანტორის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დამთავლელი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ზურაშვილი. ამავე ორგანიზაციაში კანდიდატებმა პარტიის წევრების თანაბრად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებსა და კენჭისყრაში.

წესდებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის უხეში დარღვევები დაშვებულ იქნა აგრეთვე 26 კომისრის რაიონის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ პარტიულ ორგანიზაციაში.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აქ არაორგანიზებულად ჩაიარა. იგი 25 წუთის დაგვიანებით დაიწყო. კანდიდატურების დასახელებისა და კენჭისყრის დროს წესრიგი არ იყო. პარტიის 685 წევრიდან, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ, პარტკომის არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია 30 კაცს, მაგრამ სამაგიეროდ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის კანდიდატებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით ეს არჩევნები გაუქმებულ იქნა და ხელახლა ჩატარდა. იმავე გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნებს ამხ. გ. ზედგინიძესა და ამხ. გ. ჯიბლაძეს პარტიული სასჯელი დაედოთ იმისათვის, რომ, დაესწრნენ რა ამ პარტიულ კრებას, ვერ უზრუნველყვეს მისი ორგანიზებულად და სწორად ჩატარება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველგან, სადაც კი დაშვებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევა, არჩევნები გაუქმებულ იქნა და საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები ხელახლა ჩატარდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა შედეგად რაიონულმა და საქალაქო პარტიულმა კონფერენციებმა ჩაიარა პარტიის წესდების და „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის სრული შესაბამისობით, გამლილი, საქმიანი კრიტიკისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე.

დელეგატები გაბედულად და მტკიცედ აშკარავებდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში, მკვეთრად აკრიტიკებდნენ იმ ხელმძღვანელთა საქმიანობას, რომლებმაც სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან და ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა რესპუბლიკის კომპარტიის წინაშე მდგომი ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად.

წყალტუბოს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიკომი და რაიონული საბჭოს აღმასკომი არ მუშაობდნენ კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცებისათვის. რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა. მაგალითად, სოფელ გუმბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნაცვლად 17,5 ცენტნერისა ჰექტარზე აღებულ იქნა მხოლოდ 2 ცენტნერი მარცვლეული.

რაიონის ხელმძღვანელები ყურადღებას ა[illegible] აქცევდნენ ჩაის კულტურის განვითარებას, ურიგდებოდნენ პლანტაციების არადამაკმაყოფილებელ მოვლას. ნაცვლად იმისა, რომ გადამწყვეტი ღონისძიებები მიეღო საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებისათვის, რაიონის ხელმძღვანელობა ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოს თვალისამზვეულ ცნობებს უდგენდა.

კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს წყალტუბოს რაიკომის ცუდი მუშაობა. ისინი ამბობდნენ, რომ რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომები ხშირად მოუმზადებლად ეწყობოდა. იყო შემთხვევები, როცა ბიუროს სხდომაზე მოწვეულმა კომუნისტებმა არ იცოდნენ, რისთვის იყვნენ გამოძახებულნი.

კიროვის (ქ. თბილისი), თიანეთის, ჯავისა და ონის რაიონების პარტიულ კონფერენციებზე დელეგატები აკრიტიკებდნენ აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებებს იმისათვის, რომ ისინი საკმაო დახმარებას არ უწევდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური აგიტაციისა და კომუნისტთა პარტიული სწავლების დაყენებაში.

მოლოტოვის რაიონის (ქ. თბილისი) პარტიული კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ყორეულიანმა, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრეს საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის კაბინეტური მეთოდები.

ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩატარდა ქლუხორის რაიონული პარტიული კონფერენცია. კამათის მონაწილენი მკაცრად აკრიტიკებდნენ რაიონულ კომიტეტს და მის მდივნებს ამხ. ვაჩაძესა და ამხ. ხურცილავას, რომლებმაც ჩაშალეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

პარტიულმა კონფერენციამ მოიწონა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ამხ. ვაჩაძისა და ამხ. ხურცილავას სამუშაოდან მოხსნის შესახებ, არადამაკმაყოფილებლად ცნო პარტიის რაიკომის მუშაობა და მიიღო ღონისძიებანი, რომლებსაც საფუძვლად დაედო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები.

არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი პარტიის ადიგენის, გურჯაანის, კასპის, ყვარლის, ქვემო სვანეთის, საგარეჯოს, ხაშურის, ლენინგორის, ხულოს რაიკომების, ბათუმისა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტების მუშაობა.

რაიონულმა და საქალაქო კონფერენციებმა, იშვიათი გამონაკლისით, ყველგან ჩაიარა ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. ეს უეჭველად შეუწყობს ხელს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში შინაპარტიული მუშაობის შემდგომ განუხრელ აღმავლობას, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ცხოვრებისადმი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესებას.

გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, გარდაბნის რაიონული პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ცირეკიძემ, შედგენილი იყო მოუფიქრებლად, ზერელედ. ამ მოხსენებაში, რომელიც მოკლებული იყო თვითკრიტიკას, ჩამოთვლილი იყო ფაქტები რაიმე ანალიზის გარეშე, ყოველგვარი დასკვნის გარეშე. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა, მომხსენებელს სრულებით გამორჩა მხედველობიდან. საანგარიშო მოხსენებაში არაფერი არ იყო ნათქვამი თვით რაიკომის აპარატისა და მის განყოფილებათა მუშაობაზე.

საანგარიშო მოხსენებამ კამათის მიმართულებაც განსაზღვრა. კამათი ზერელე ხასიათს ატარებდა და მეტად მოდუნებულად ჩაიარა. კონფერენციაზე გაშლილი არ იყო საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა, კამათის არც ერთ მონაწილეს, მათ შორის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებსაც კრიტიკა არ დაუძრავთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი რაიკომის ხელმძღვანელობაზე.

უკვე შემდგარი რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციების უმრავლესობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ამ კონფერენციების შედეგად ხელმძღვანელობაში მოვიდა ბევრი ახალი პარტიული მუშაკი, რომლებსაც საჭირო დახმარება უნდა გაეწიოთ პრაქტიკულ მუშაობაში. ამავე დროს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ახლად არჩეულმა მდივნებმა და წევრებმა გულდასმით უნდა გაითვალისწინონ კონფერენციების დელეგატთა შენიშვნები, სურვილები და წინადადებანი, მუდმივად უნდა სრულყონ თავიანთი ცოდნა, მუშაობის სტილი, დაეუფლონ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებას.

პარტიული ორგანოების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს მუშაობა კადრებთან, რომლებიც წარმოადგენენ პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტ ძალას, იმ ძალას, რომელიც ახორციელებს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას.

„რა თქმა უნდა, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—**გვქონდეს სწორი პოლიტიკური ხაზი. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. სწორი პოლიტიკური ხაზი საჭიროა არა დეკლარაციისათვის, არაშედ ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ სწორი პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის საჭიროა კადრები, საჭიროა ადამიანები, რომლებსაც ესმით პარტიის პოლიტიკური ხაზი, რომელნიც ითვისებენ მას, როგორც თავის საკუთარ ხაზს, რომელნიც მზად არიან გაატარონ იგი ცხოვრებაში, რომელთაც შეუძლიათ ამ ხაზის პრაქტიკულად განხორციელება და შესწევთ უნარი პასუხი აგონ მისთვის, დაიცვან იგი, იბრძოლონ მისთვის. ამის გარეშე კი არის საფრთხე, რომ სწორი პოლიტიკური ხაზი ქაღალდზე დარჩეს“.**

როგორც ცნობილია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ დაივიწყა ამხანაგ სტალინის ეს ბრძნული მითითება. მან დაივიწყა, რომ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს კადრების სწორი შერჩევა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. ეს უმნიშვნელოვანესი საქმე მან მთლიანად მიანდო ჩვენდამი მტრულ ადამიანებს, რომლებმაც ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები დაანაგვიანეს უუნარო, უპატიოსნო ადამიანებით, ისეთი ადამიანებით, რომლებიც პოლიტიკური ნდობის ღირსი არ იყვნენ და მტრულად იყვნენ განწყობილნი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ ახორციელებს კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინურ-სტალინურ პრინციპს და გადაჭრით სპობს ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგებს, გაბედულად და მოფიქრებულად აწინაურებს და ყველგან აყენებს ახალ, ნიჭიერ, ენერგიულ, ინიციატივიან, პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგულ კადრებს, რომლებსაც წინათ აზშობდნენ, რომლებსაც შესაძლებლობას არ აძლევდნენ უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე გამოეყენებინათ თავიანთი ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილ მოკლე პერიოდში გაწეულია უდიდესი მუშაობა კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილებისათვის. ნომენკლატურულ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია 1.469 კაცი, მათ შორის პარტიულზე — 473. ხელმძღვანელობაში მოსული ახალი კადრები მთელი პასუხისმგებლობით, ბოლშევიკური სიმკაცრითა და მგზნებარებით, დაუღალავად ეწევიან დიდ ორგანიზატორულ მუშაობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა, დიდი სტალინის მითითებათა განსახორციელებლად. ეს კადრები მუდამ მზად არიან შეასრულონ ჩვენი პარტიის, ამხანაგ სტალინის ყოველი დავალება.

რა თქმა უნდა, კადრების შესარჩევად და გასანაწილებლად დიდი მუშაობაა გაწეული. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეულით.

ლაპარაკობდა რა იმ ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელიც მოკლე ხანში გასწია საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის მითითებათა განსახორციელებლად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ მოხსენებაში „აჭარის პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მოკლე შენიშვნები

I. კანდიდატი ყოველი შემთხვევისათვის

დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატს ირჩევდნენ, აღმოსავლეთის ბაზარსა და დიდ საცირკო წარმოდგენას უფრო ჰგავდა, ვიდრე სერიოზულ თათბირს. დელეგატების ხმაური, დიმაგოგიური გამოსვლები, პარტიული დროშების ფრიალი, დაჯგუფებულ ადამიანთა გაცხარებული კამათი — ყველაფერი ეს ილუზიას ქმნიდა თითქოს კანდიდატის „არჩევანის“ საკითხს ყრილობის დელეგატები წყვეტდნენ. სინამდვილეში კულისებს უკან მოქმედებდა პარტიული ბოსების, გაქნილი პოლიტიკური სპეკულანტების ჯგუფი, რომელიც უოლ-სტრიტის კარნახით ყოველგვარ ხაშუალებას — შანტაჟს, დაპირებას, მოსყიდვას, მუქარას — იყენებდა მიზნის მისაღწევად. ყრილობის ორგანიზატორებმა ათასნაირ ხრიკებს მიმართეს იმისათვის, რომ დელეგატთა დიდი ნაწილი ხმაურით გაებრუებინათ და ამით ფინანსურ ბოსებს თავიანთი ბნელი საქმიანობისათვის გზა გაეხსნოთ. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ მოსწრებულად შენიშნავდა: „ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი გართობანი მოიგონონ სხვაგან სადმე, გარდა საგიუეთისა“...

მესუბის თვალის ასახვევად დემოკრატიული პარტია დაუპირისპირდა რესპუბლიკურ პარტიას. დელეგატმა მაკინმა დემაგოგიურად გაანცხადა — მომავალ არჩევნებში „დავარტყათ მდიდრებისა და პრივილეგირებულთა ჯგუფს“, ე. ი. რესპუბლიკურ პარტიასო. ორატორმა დეკერმა ტრუმენის პარტია „სახალხო პარტიად“ გამოაცხადა. მთელი ეს სიყალბე თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ „სახალხო პარტიის“ ყრილობას 150 მილიონერი ესწრებოდა. მათ შორის: ნავთის მდიდარი სამადოების მფლობელი სენატორი კერი, მსხვილი ბანკირი და რკინიგზების მაგნატი ჰარიმანი, უოლ-სტრიტის ფირმის „ლიმენ ბრაზერის“ წარმომადგენელი ჰერბერტ ლიმენი, დეტროიტის კომპანიის მმართველი ბრაუნი, მიჩიგანის შტატის გუბერნატორი ვილიამსი, მილიონერები პოული, ლოვეტი და სხვ.

უოლ-სტრიტმა, უკვე მიაღწია რა რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად მისთვის სასურველი პირის — ეიზენჰაუერის დასახელებას, არ დაზოგა თანხები, რათა დემოკრატიული პარტიიდანაც მისი კაცი წამოეყენებინათ. ამით უოლ-სტრიტი თავს იზღვევდა ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე ფინანსური ბობოლები ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ყრილობებზე.

ოფიციალური ვერსიით ტრუმენმა უარი განაცხადა კვლავ ეყარა კენჭი პრეზიდენტობის კანდიდატად. სინამდვილეში კი ტრუმენისათვის ეს არავის უკითხავს. საქმე ის არის, რომ ტრუმენი გაკოტრდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. მის სახელთან დაკავშირებულია „ამერიკის“ ისტორიაში უპრეცედენტო გადიდება გადასახადებისა, გამალებული შეიარაღების და ომის ფსიქოზის გაჩაღების პოლიტიკა, აგრესიული ომი უდანაშაულო კორეელი ხალხის წინააღმდეგ. სენატორი კემი იძულებული იყო ეთქვა: „თეთრ სახლში იმყოფება ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს მშვიდობაზე და ამზადებს ომს. დღე ისე არ გავა, რომ ტრუმენმა და აჩესონმა არ ილაპარაკონ „ომის თავიდან აცილებაზე“. მაგრამ სანამ ისინი „მშვიდობაზე“ ლაყბობენ, ჩვენი შვილები კორეაში იღუპებიან“. ამერიკელ ხალხში დღითიდღე მატულობს უკმაყოფილება ტრუმენის აგრესიული პოლიტიკის გამო, ცხადია, ასეთ პირობებში ტრუმენს გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს. ამიტომაც შეაქციეს მას ზურგი პარტიულმა ბოსებმა და ფინანსურმა მაგნატებმა.

დემოკრატიული პარტიის ყრილობამ პრეზიდენტობის კანდიდატად აირჩია სტივენსონი, ილინოისის შტატის გუბერნატორი, შუა დასავლეთის რაიონების ფინანსური წრეების ინტერესების გამომხატველი. საგარეო პოლიტიკის საკითხებში სტივენსონი „ატომური დიპლომატიის“ მომხრეა, საშინაო პოლიტიკის საკითხებში მას ტრუმენზე უფრო რეაქციული პოზიცია უკავია. ამავე დროს ამერიკის რეაქციული პრესა სტივენსონს „ლიბერალურად მოაზროვნე“ ადამიანის რეპუტაციას უქმნის.

სტივენსონი და ეიზენჰაუერი ორივენი უკიდურესი რეაქციონერები და აგრესიულად განწყობილი პოლიტიკანები არიან. ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ შენიშნავს, რომ „1952 წლის შემდეგ, ეიზენჰაუერი გაიმარჯვებს თუ სტივენსონი, თეთრ სახლში დამკვიდრდება ყველაზე კონსერვატიული პრეზიდენტი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში“.

სტივენსონი, ისე როგორც ეიზენჰაუერი, უოლ-სტრიტის კანდიდატია. მართალია, ფინანსური მაგნატები წელს უპირატესობას რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს — ეიზენჰაუერს ანიჭებენ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მათ ჰყავთ თავიანთი კანდიდატი დემოკრატიულ პარტიიდანაც.

დახარჯა რა ათობით მილიონი დოლარი პრეზიდენტობის კანდიდატებად ეიზენჰაუერისა და სტივენსონის დასასახელებლად, ამით უოლ-სტრიტმა მომავალი არჩევნების წინ „წაუვებელი ლატარიის“ ბილეთი შეიძინა.

II. „ცხოვრების ამერიკული წესი“...

ამერიკელ იმპერიალისტებს თავი მოსწონთ ყბადაღებული „ცხოვრების ამერიკული წესით“... ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს. გემოვნების საკითხია! მაგრამ საქმე ის არის, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ამით არ კმაყოფილდებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ სხვა ქვეყნებს, უწინარეს ყოვლისა მარშალიზებულ ქვეყნებს მოახვიონ თავს ამერიკული ზნე, ამერიკული ინსტიტუტები. დამპალი კონსერვებისა და კვერცხის ფხვნილის ექსპორტთან ერთად ამერიკელ მაგნატებს მარშალიზებულ ქვეყნებში შეაქვთ „ცხოვრების ამერიკული წესი“. ფრანგი პროფესორი ბერნარ ლავერნი წიგნში „გაერთიანებული ევროპის“ ქიმერა“ წერს: „ჩვენი ამერიკელი მეგობრები ხელმძღვანელობენ უბრალო, მაგრამ მტკიცე იდეით: „რამდენადაც ყველაფერი ამერიკული მსოფლიოში „საუკეთესოა“, ამიტომ საჭიროა, რომ ევროპის ყველა ერმა უმოკლეს ვადაში გადაიტანოს თავის ქვეყანაში მთლიანად და უცვლელად ამერიკული ზნეობა, ამერიკული ინსტიტუტებიო...“.

რას წარმოადგენს სინამდვილეში „ცხოვრების ამერიკული წესი“, რომელსაც ახე იკვეხნიან ამერიკელი განგსტერები? აღვნიშნოთ მხოლოდ რამდენიმე მომენტი:

ამერიკელები „ეხმარებიან“ ევროპის ქვეყნებს: „მარშალის გეგმის“ საფუძველზე ოკეანეს-გაღმელმა ფინანსურმა მაგნატებმა ევროპის ქვეყნებში შეიტანეს უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისი, ცხოვრების გაძვირება. ამ „დახმარების“ სამაგიეროდ ამერიკელებმა გაძარცვეს ეს ქვეყნები. დამახასიათებელია, რომ ავსტრიაში შეზიდულია მილიონობით დოლარად ამერიკული სიგარეტი, სამაგიეროდ ავსტრიიდან ამერიკაში გატანილია რემბრანდტის, რუბენსისა და სხვა დიდ მხატვართა ცნობილი ტილოები.

ამერიკელები ხულიგნობენ: „პირველი მერცხლები“, რომლებიც პრაქტიკულად უჩვენებენ ევროპელებს „ცხოვრების ამერიკულ წესებს“, არიან ამერიკელთა საოკუპაციო არმიის ჯარისკაცები მარშალიზებულ ქვეყნებში. ავსტრიაში, ზალცბურგის ცენტრში, ამერიკელმა ჯარისკაცებმა სცემეს ავსტრიელ მხატვარ ოსკარ კოკოშკას. მიმდინარე წლის 8 მაისს ქალაქ მანჰაიმში რეგისტრირებული იყო ამერიკელთა საოკუპაციო არმიის ჯარისკაცების მიერ ჩადენილი 8 ბოროტმოქმედება. ავსტრიაში განგსტერებმა ტაქსის შოფერი გაძარცვეს.

ამერიკული „სიყვარული“: ამერიკელ ჯარისკაცებს განსაკუთრებით თავხედურად უჭირავთ თავი ქალების მიმართ. ვენაში კონსერვატორიის ერთ-ერთ სტუდენტ გოგონას თავს დაესხნენ ამერიკელი ოკუპანტები, მათ სცადეს გოგონას გაუპატიურება, შემდეგ სცემეს და შიშველი დაადგეს ქუჩაში. ქალაქ ბენბერგში ჯარისკაცებმა გაუპატიურეს და შემდეგ მოკლეს 42 წლის ტერეზა ბაუკე.

ამერიკელები „ერთობიან“: ბარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტები რიჩარდ მერი და ოკლეი ტორნი 48 საათისა და 10 წამის განმავლობაში სცემდნენ ერთმანეთს სახეში. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს მიაყენეს 17.281 დარტყმა და „სპორტის“ ამ სახეობაში ახალი რეკორდი დაამყარეს. მეტად საინტერესოა შემდეგი მაჩვენებელიც: პარიზის ერთ-ერთ საპოლიციო უბანში ჩაბარებულ იქნა 197 ამერიკული პასპორტი. ისინი ნაპოვნი იყო: ლუდხანებში—78, სასტუმროებში—12, თეატრში—2, სროსკოპოებში—22..

„ზრდიან“ ამერიკელ ბავშვებს: პროპაგანდის ყველა საშუალება ამერიკაში ემსახურება განგსტერის, კაცისმკვლელის აღზრდას. გაზეთი „ტაიმი“ აღნიშნავს, რომ ერთ დღეს 4 საათის განმავლობაში ტელევიზორმა გადასცა ბავშვებისათვის სპეციალურად მომზადებული პროგრამა, რომელშიც ნაჩვენები იყო შემთხვევები: მკვლელობის—13, დაჭრის—14, ადამიანის გატაცების—6, აფეთქების—3, შანტაჟისა და აფერისტობის—3, შეიარაღებული თავდასხმის—2, ლინჩის წესით დასჯის—1, წამების—1, სხვისი საკუთრების უკანონოდ მიტაცების—1... ბავშვებში აღვივებენ მკვლელობის, ძალადობის, განგსტერობის კულტს. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ხშირია მკვლელობა, რასაც ბავშვები სჩადიან იმ მიზნით, რომ „მკვლელის აღელვება“ განიცადონ...

ცხოვრების ასეთი „წესი“ შეაქვთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამერიკული იმპერიალისტური „კულტურის“—განგსტერიზმის აპოლოგეტებს, რომლებიც ევროპის ხალხების მზარდ წინააღმდეგობასა და აღშფოთებას ხვდებიან. საოცარი ის არის, რომ ყოველივე ამის შემდეგ ამერიკელ იმპერიალისტებს აკვირვებთ მათი პრესტიჟის დაცემა ევროპაში.

გ. მელაძე.

საბჭოთა ფილმების ფესტივალი ალბანეთში

ტირანა, 3 სექტემბერი. (საკადესი). ალბანეთში ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გამო დაიწყო საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი. ფესტივალის გახსნაზე დედაქალაქში აჩვენეს საბჭოთა ფერადი ფილმი „დაუვიწყარი 1919 წელი“. ფილმმა, რომელსაც 17 ნოემბრის სახელობის კინოთეატრის მაყურებლებით გაჭედილ დარბაზში აჩვენებდნენ, საზოგადოების მხურვალე მოწონება გამოიწვია.

ფესტივალის მსვლელობაში ალბანეთის კინოთეატრში უჩვენებენ საბჭოთა კინოსურათებს „სოფლის ექიმს“, „სპორტულ ღირსებას“, ფილმებს საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ და სხვა.

უეცდმარშალი სლიმი დაინიშნა ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორად

ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 2 სექტემბერს გამოცხადდა, რომ იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი უილიამ სლიმი დაინიშნა ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორად.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 სექტემბერი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობის თანახმად დღეს კორეის სახალხო არმიის შენაერთები რინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

გერმანიის რევიზიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანიის მუშათა კომიტეტის მოწოდება დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასისადმი

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკადესი). ადნ-ის საგენტო დიუსელდორფიდან იუწყება:

გუშინ გერმანიის რევიზიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანიის მუშათა კომიტეტმა მიმართა დასავლეთ გერმანიის მთელ მუშათა კლასს მოწოდებით.

სსრ კავშირის მთავრობამ 1952 წლის 23 აგვისტოს ნოტით, ნათქვამია მოწოდებაში, წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს არაუგვიანეს ამა წლის ოქტომბრისა მოიწვიონ ოთხი სახელმწიფოს თათბირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით და წარუდგინა თათბირის დღის წესრიგი. ეს წინადადება და დღის წესრიგი სავსებით შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს. ამ წინადადების განხორციელება ბოლოს მოუღებს ჩვენი სამშობლოს დამღუპველ გათიშვას და გაათავისუფლებს გერმანელ ხალხსა და მთელი მსოფლიოს ხალხებს ახალი ომის საფრთხისაგან. ამ წინადადების განხორციელება ბოლოს მოუღებს ფასების ზრდას, რაც სამარი მზადების საბედისწერო პოლიტიკის შედეგია.

საოკუპაციო ჯარების გაყვანით გერმანელი ხალხი განთავისუფლდებოდა თუღანელი საოკუპაციო ხარჯებისაგან. შეწყვეტდა: აეროდრომებისა და აუზარმების მშენებლობა უცხოთის საოკუპაციო ჯარებისათვის. ამის შედეგად განთავისუფლებული სახსრები დაახლოებით 13 მილიარდი მარკის რაოდენობით ყოველწლიურად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა საცხოვრებელი სახლების, სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობისათვის და. უწინარეს ყოვლისა, აუტანელი გადასახადების შემცირებისათვის. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები ადენაუერთან ერთად თავს არიდებენ ამ ნათელ წინადადებას. გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო გერმანიის მუშათა კომიტეტი მოუწოდებს ყველა მუშას, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა და მსოფლმხედველობისა, გაერთიანდნენ საწარმოებსა და პროფკავშირებში ერთობლივი მოქმედებისათვის ბონის სეპარატული „შეთანხმების“ წინააღმდეგ. კომიტეტი მოუწოდებს მთელ გერმანელ ხალხს მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ხელი შეუწყოს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და საბავო ხელშეკრულების დადებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბალხო რეფერენდუმში.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 3 სექტემბერი. (საკადესი). დღეს პარიზის გარეუბან მონტრეის მერიის შენობაში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ვრცელი მოხსენება „მშვიდობის დასაცავად ხალხის მასების გაერთიანების საქმეში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის“ შესახებ გააკეთა ჟაკ დიუკლმ.

დიუკლოს ცნობის ამის შესახებ, რომ მორის ტორეზი ახლო მომავალში საფრანგეთს დაბრუნდება, მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

პოლონეთის სეიმის არჩევნების ეროვნული ფრონტის სავოევოდო კომიტეტების არჩევა

ვარშავა, 3 სექტემბერი. (საკადესი). პოლონეთის ყველა სავოევოდო ცენტრში იმართება ეროვნული ფრონტის კონფერენციები, რომლებზეც ირჩევენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნების ეროვნული ფრონტის სავოევოდო კომიტეტებს.

გუშინ ვარშავაში მშრომელთა 400-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა, რათა აერჩიათ ეროვნული ფრონტის დედაქალაქის კომიტეტი. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ ვიხამ.

შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნების ეროვნული ფრონტის დედაქალაქის კომიტეტი. ამავე დროს გაიმართა ვარშავის სავოევოდოს ეროვნული ფრონტის კონფერენცია, რომელზეც არჩეულ იქნა სავოევოდო კომიტეტი.

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით აირჩიეს ეროვნული ფრონტის კომიტეტები ვროცლავში, კატოვიცში, ლოძსა და ოლშტინში.

რუმინეთში გამოიცა მასალები საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის

ბუქარესტი, 3 სექტემბერი. (საკადესი). რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით ცალკე ბროშურებად გამოუშვა პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი. ეს დოკუმენტები უახლოეს დროში ბროშურებად გამოიცემა აგრეთვე უნგრულ და გერმანულ ენებზე.

ინგლის-ამერიკის ახალი ზეგავლენა ირანის მთავრობაზე

გამოხმაურება ირანში

თეირანი, 4 სექტემბერი. (საკადესი). როგორც თეირანის რადიოს ცნობიდან ჩანს, გაზეთი „ბახტარე ემრუზი“ მოწინავე სტატიაში, სათაურით „ჩვენ არ გავყიდით ჩვენს დამოუკიდებლობას 10 მილიონ დოლარად“, აღნიშნავს, რომ ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ინგლისის პრეტენზიების ეგრეთწოდებული მოწესრიგების ინგლის-ამერიკის გეგმა სრულიად არ შეესაბამება ირანის პოლიტიკისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის ინტერესებს.

ირანელი ხალხისათვის მიუღებელია ინგლის-ამერიკის წინადადებანი, წერს დასასრულ გაზეთი, რომელნიც არსებითად არარად ხდიან ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციას და აიძულებენ ირანელ ხალხს კომპენსაცია იხადოს ირანის გაძარცული ქონებისათვის და ძალა დაუბრუნონ 1933 წლის ხელშეკრულებას. ირანის საზოგადოებრიობა არ დაეთანხმება ამას, ხოლო ირანის მთავრობას არ შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს ამ წინადადებათა საფუძველზე, რომელთა უსუსურობაც უკვე არაერთხელ იყო დამტკიცებული.

რიჯუეის ლონდონს ჩასვლის წინაღამდეგ საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა გასამართლება ინგლისში

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკადესი). როგორც „დეილი უორკერი“ იუწყება, გუშინ ლონდონში სამი თვის პატიმრობა მიუსაჯეს ჯონ ტომინგს იმისათვის, რომ მან მონაწილეობა მიიღო რიჯუეის ლონდონში ჩამოსვლის წინააღმდეგ 9 ივლისს შემდგარ საპროტესტო დემონსტრაციაში და ლონდონში ამერიკის საელჩოს შენობასთან მდგარ ამერიკულ მანქანას წაუწერა ლოზუნგი: „წაეთრიეთ შინ!“. საპროტესტო დემონსტრაციის მეორე მონაწილეს არტურ ლეგს მიესაჯა 5 გირვანქა სტერლინგის ჯარიმის გადახდა ან ერთი თვის პატიმრობა.

საბჭოთა კავშირს პირველობა მოუგია

6 სექტემბერს ... ჩემპიონატი ... ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების პირველობაში გამარჯვებული კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები. მათ შორის იქნებიან თბილისის „დინამოს“, კაუნასის „ჟალგირისის“, რიგის „დაუგავას“, მოსკოვის ვვს-ის ვაჟთა, აგრეთვე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ქალთა და მრავალი სხვა გუნდი.

პირველობისათვის მებრძოლი გუნდები (ქალთა 24 გუნდი და ამდენივე ვაჟთა გუნდი) განაწილებული არიან ექვს ქვეჯგუფად. გათამაშება მოეწყობა წრიული სისტემით ერთ წრედ.

დასკვნითს ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდს მიენიჭება სუბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონის წოდება ქალათბურთში და გადაეცემა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი ჯილდო, ხოლო გუნდის წევრებს დაურიგდებათ ოქრის მედლები და საჩემპიონო მაისურები.

თბილისის „დინამოს“ ქალათბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ო. ქორკია, ნ. ჯორჯიკია, გ. ბახტურიძე, ვ. ელენტი და სხვები, 2 სექტემბერს ერევანს გაემგზავრა.

პირველ კალენდარულ დღეს თბილისის დინამოელები შეხვდებიან ფრუნზეს „სპარტაკს“, 7 სექტემბერს — მინსკის „ისკრას“ და 8 სექტემბერს — ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს.

სასამართლო

ღირსეული სასჯელი

მ. რაბინოვიჩი წლების მანძილზე ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა სახელმწიფოს ხარჯზე. იგი ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხნის საღრიცხვო-საფინანსო ნაწილის უფროსად მუშაობდა. მ. რაბინოვიჩი დაკავშირებული იყო სხვადასხვა პირებთან და დიდ კომბინაციებს აწყობდა, რაზეც საქვეჭრობის ბაშურის განყოფილების ყოფილ მუშაკებთან დ. ქურდაძესთან, ნ. თოფურიასთან და სხვებთან ერთად ფიქტიურ სბუთებს ადგენდა.

მ. რაბინოვიჩს კომბინაციაში ხელს უწყობდა ვაჭრობის დარგის ზოგიერთი სხვა მუშაკიც. თბილკვებვაჭრობის უალკოჰოლო სასმელების № 2 საწყობის გამგემ ბ. შარაშიძემ ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას ყალბი საბუთებით ჩამოაწერა 270.000 მანეთი, ამის შედეგად მან მოითვისა 53.000 მანეთი.

ეს კომბინატორები აფორმებდნენ ფიქტიურ ანგარიშებს ბორჯომის ბოთლების ჩაბარებაზე. ამ გზით მოითვისეს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. მათ დანაშაულზე წაასწრეს. ამას წინათ ამ საქმის გამოძიება დაამთავრა საქართველოს სსრ პროკურატურამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისსლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაამთავრა კომბინატორთა საქმის განხილვა. სახელმწიფო თანხების მითვისებლებს ღირსეული სასჯელი მიეზღოთ. მთავარ კომბინატორს მ. რაბინოვიჩს და კ. ტაბატაძეს მიესაჯათ 25 წლით პატიმრობა თვითეულს, დ. ქურდაძეს—20 წლით, ი. ჭანკოტაძეს—18 წლით, ბ. შარაშიძეს—16 წლით პატიმრობა, დანარჩენ დამნაშავეებს შეეფარდათ სასჯელის სხვადასხვა ლონისძიება.

ნ. პლატონიძე.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: მოწინავე — მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

საერთო სათაურით „გამომგონებლები და რაციონალიზატორები დიდი ძალაა ახალი ხუთწლედისათვის ბრძოლაში“ წერილები: ვ. გოგიაშვილი — ერთი ქარხნის რაციონალიზატორები. მ. ვოზნესენსკი — შემოქმედება. ო. ნიკოლაიშვილი — მეტი დახმარება ნოვატორებს. სწრაფად დავნერგოთ ძვირფასი სიახლენი (მკითხველთა წერილების მიხედვით).

ახალი ხუთწლედის ადამიანები — ზეინკალი შალვა ხუციშვილი.

მეორე გვერდი: პარტიული ცხოვრება. საერთო სათაურით „კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს“ წერილები: მაღლი აქტივობის ნიმნით (ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე). გადაჭრით გარდავქმნათ პარტიული და სამეურნეო მუშაობა (ფოთის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე).

ვ. ბალავაძე — დაუღალავად ვამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე (დასასრული მე-3 გვ.).

მეხამე გვერდი: საერთო სათაურით „ვზარდოთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი“ წერილები: მ. ტუღუში—გაეუთანასწორდეთ მოწინავეებს. გ. ბონდარენკო — ობიექტური მიზეზების ძებნაში.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 5 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორი ი. ტალახაძის საჯაარო ლექციას თემაზე: **„ლენინი და სტალინი სოციალისტური კანონიერების შესახებ“.**

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოგადაცემათა 6 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — სიმღერები მოსკოვზე; 07.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.40 — პიონერთა დაფონი; 09.20 — ჩაიკოვსკის უვერტიურა „1812 წელი“; 11.25 — საუბარი: „ამერიკული დემოკრატია“. 12.15—ძველებური ჯარისკაცული სიმღერები და მარშები; 12.45 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.10 — კონცერტი მოსკოვისათვის — ანდრია ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — საუბარი: „სიცივის ფაბრიკა“; 18.10 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით: 19.20 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — ქართული ხალხური სიმღერები; 20.45 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 21.30 — საუბარი: „საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროები“; 21.50 — ლიტერატურული გადაცემა: გალაქტიონ ტაბიძის ლექსები; 22.10—მილიკერის ოპერეტა „გასპარონის“ მონტაჟი; 00.05 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

განუწყვეტლივ ვამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე

(დასასრული)

ხებ“ ქალაქ ბათუმის პარტიული აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღნიშნა: „...ის რაც გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია, ასე ვთქვათ, პირველი ნაბიჯებია. კიდევ მოგველის გიგანტური ორგანიზატორული მუშაობა იმ უმდიდრეს შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას მოეპოვება“.

ამიტომ ამოცანა ის არის, რომ შემდგომშიც განუხრელად ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ სტალინის მითითებებით და კიდევ უფრო გულდასმით შევარჩიოთ კადრები მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების გათვალისწინებით, მზრუნველად ვზარდოთ ისინი, დროზე დავაწინაუროთ ახალგაზრდა, ნიჭიერი მუშაკები, არ დავუშვათ მათი დახავსება, ობისმოკიდება, გადაგვარება. მუშაკთა უნარზე, ნიჭსა და სხვა თვისებებზე უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მათი საქმეების მიხედვით. „**მუშაკთა შემოწმება**, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით**“.

აქ, ისევე როგორც ყველაფერში, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შესრულების ბოლშევიკური შემოწმება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ მუშაობის ნამდვილი შედეგები არა ქაღალდების ცნობების მიხედვით, არამედ არსებითად. შესრულების მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა შესაძლებლობას შევისწავლოთ მუშაკი, გამოვავლინოთ მისი ნამდვილი თვისებები.

შესრულების კარგად მოწყობილი შემოწმება ხელს უწყობს კადრების აღზრდას პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ზუსტად დაცვის სულისკვეთებით, ამაღლებს მათს მომთხოვნელობას თავიანთი თავისა და სხვებისადმი, პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, უვითარებს მათ მუშაობისადმი კრიტიკულ მიდგომას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ დამოკიდებულებას.

პარტიული ორგანოების უმნიშვნელოვანესი საქმეა მუდმივი და დაუცხრომელი ზრუნვა კადრების ბოლშევიკური აღზრდისათვის შემტევი პოლიტიკური სიფხიზლის, პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მაღალი პრინციპულობის, პატიოსნების, გულმართლობის, თავმდაბლობის, ნაკლოვანებებთან შეურიგებლობის სულისკვეთებით.

კადრების ბოლშევიკური აღზრდა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა მათს შეიარაღებას რევოლუციური თეორიით, მათი პოლიტიკური და კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაობა ახლანდელი მაღალი მოთხოვნების დონეზე რომ ავიყვანოთ, საჭიროა განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდეთ კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეს. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლა აიარაღებს კადრებს წინსვლის ნათელი პერსპექტივით, აწრთობს მათ პოლიტიკურად, ხდის იდეურად მტკიცეს, პრინციპულსა და მიზანმიმსწრაფს, ასწავლის მათ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას, აძლევს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების რთულ პირობებში გარკვევის უნარს, თეორიის პრაქტიკასთან შემოქმედებითად დაკავშირების უნარს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ მუშაობაში, სიძნელეებთან ბრძოლაში, ამ სიძნელეთა დაძლევაში. ამიტომ კადრების თეორიული მომზადებისათვის უნარიანად ზრუნვა უნდა შეეუხამოთ მათს ბოლშევიკურ აღზრდას პრაქტიკულ მუშაობაში, სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

კადრების სწორი აღზრდის ნაკადი საშუალებაა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

სადაც კრიტიკა არ არის, სადაც შეცდომებს გვერდს უვლიან, სადაც ძმობიჭობისა და ობივატელური გულდამშვიდების ვითარებაა, იქ აუცილებლად გამრავლდება და გაღრმავდება შეცდომები და ნაკლოვანებანი, იქ გარდუვალია მუშაობის ჩაშლა.

„ვინც ფიქრობს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჩვენი კადრების თ